

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები

"ხელბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა"

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

თ ბ ი ლ ი ს ი
2017 წ.

1. პროგრამის აღწერა და მიზანი

2017 წელს ქართული ხელბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა მიმართულია იმ გეგმების განხორციელებაზე, რომლებიც განსაზღვრულია ხელბურთის განვითარების გრძელვადიან პროგრამაში და მიზნად ისახავს ქვეყანაში ხელბურთის შემდგომ განვითარებას, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების ხარისხიან მომზადებას და მათ წარმატებულ გამოსვლას საერთაშორისო ასპარეზზე, რათა საფუძველი ჩაეყაროს მთავარი მიზნის მიღწევას - 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდის მონაწილეობას.

დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება სხვადასხვა საქმიანობა: ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების სრულფასოვანი მზადება და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში წარმატებული გამოსვლა, ეროვნული ჩემპიონატის, საქართველოს თასის, ქალთა და ასაკობრივი ჩემპიონატების და სხვა შეჯიბრებების მაღალ დონეზე ორგანიზება და ჩატარება, საკლებო ხელბურთის განვითარება, თბილისში ტრადიციული ხელბურთის საერთაშორისო ტურნირის აღდგენა, 2017 წლის 19 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისათვის ინტენსიური მზადება, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების, მწვრთნელების და სპეციალისტების მომზადება, ნაკრები გუნდების სპორტული ეკიპირებით, ინვენტარით და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ხელბურთის პოპულარიზაციაზე მიმართული სხვადასხვა პროგრამების (პლაჟის და ქუჩის ხელბურთი, ბავშვთა ფესტივალები, სასკოლო ლიგა, მინი ხელბურთი) განხორციელებით სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა ინტეგრაცია და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ხელბურთის პოპულარობის გაზრდის მიზნით მედია მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება.

პროგრამის ამოცანები

პროგრამის ფარგლებში საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას დასახული აქვს შემდეგი ამოცანები:

საქართველოში ხელბურთის პოპულარობის ამაღლება.

ეროვნული ნაკრების წარმატებით გამოსვლა 2018 წლის ევროპის ჩემპიონატისა და 2017 წლის 19 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, ასაკობრივი ნაკრები გუნდების ხარისხიანი მომზადება და მათი მონაწილეობა ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატებში, ეროვნული ნაკრებისათვის ღირსეული რეზერვის მზადების მიზნით.

2017 წლის 19 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში მაღალ დონეზე ჩასატარებლად საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვა.

ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლება, ქალთა და ასაკობრივი ჩემპიონატების დონის ამაღლება, ხელბურთში საწვრთნელი და სათამაშო (ოფიციალური მატჩები) პროცესების პირობების გაუმჯობესება, ფედერაციის მხრიდან მომსახურების ხარისხის ამაღლება.

საზოგადოების მაღალი ინფორმირებულობა ქართულ ხელბურთში მიმდინარე პროცესებზე, ხელბურთის პოპულარიზაციაზე მიმართული სხვადასხვა პროგრამების განხორციელება, ხელბურთის, როგორც წარმატებული პროდუქტის შექმნა, რომელიც მიმზიდველი იქნება ბიზნესისათვის ინვესტიციების განსახორციელებლად.

სხვადასხვა სახის საერთაშორისო სემინარებში, კონგრესებში, გადასამზადებელ კურსებში და ტრენინგებში მონაწილეობა.

სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის შეძენის, განბაჟებისა და მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

2. პროგრამის შესრულების ვადები

დაწყება: 2017 წლის 1 იანვარი
დასრულება: 2017 წლის 31 დეკემბერი

3. პროგრამის ღირებულება

პროგრამის მთლიანი ღირებულება შეადგენს 1 100 000 ლარს.

ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები (ქალები, კაცები, საპლაჟო)

გუნდების მზადება და მონაწილეობა სხვაფაზსვა შესარჩევ ტურნირებსა და ეტაპებზე.

ერთობლივ სასწავლო საწვრთნელ შეკრებებში და ამხანაგურ მატჩებზე მონაწილეობა.

ნაკრები გუნდებისათვის უცხოელი სპეცილისტების მოწვევა, მწვრთნელთა და დამხმარე პერონალით უზრუნველყოფა.

სასწავლო საწვრთნელი პროცესებისა და თამაშებისათვის დარბაზებით უზრუნველყოფა.

ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების მატჩების პირდაპირი ტელე და პირდაპირი ტრანსლაციების ხარჯების დაფარვა.

თანამედროვე ეკიპირებით უზრუნველყოფა.

წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯების გაწევა.

ეროვნული ჩემპიონატი, კლუბების მხარდაჭერის პროგრამა

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფინანსური დახმარება. (უმაღლესი ლიგა) ფედერაციის წარდგინების შესაბამისად.

სპორტული დარბაზებით უზრუნველყოფა

ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების მატჩების მსაჯების, კომისრების, მსაჯი-მდივნების და სხვა პერსონალის ანაზღაურება.

ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების მატჩების პირდაპირი ტელე და პირდაპირი ტრანსლაციების ხარჯების დაფარვა.

საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები (ვაჟები, გოგონები)

16-წლამდელები

14-წლამდელები

12-წლამდელები

ასაკობრივი ჩემპიონატების მატჩების მსაჯების, კომისრების, მსაჯი-მდივნების და სხვა პერსონალის ანაზღაურება.

სპორტული დარბაზების იჯარა ასაკობრივი ჩემპიონატების მატჩებისათვის.

სკოლის ხელბურთი - "მინი-ხელბურთი" - "ქუჩის ხელბურთი"

საჯარო სკოლების სპორტის მასწავლებლების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, სასწავლო სემინარების ჩატარება.

საჯარო სკოლებს შორის შეჯიბრებების გამართვა მინი და ქუჩის ხელბურთში.

რეგიონების მასშტაბით სახელბურთო ფესტივალების გამართვა.

ფესტივალებისა და შეჯიბრებების მომსახურე პერსონალის ანაზღაურება, სამივლინებო თანხები, გუნდების ტრანსპორტირება და კვება, პრიზები.

ფესტივალებისა და შეჯიბრებების ინვენტარით და ეკიპირებით უზრუნველყოფა.

პლაჟის ხელბურთი

ქვიშის მოედნების იჯარა.

ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების მატჩების მსაჯების, კომისრების, მსაჯი-მდივნების და სხვა პერსონალის ანაზღაურება.

ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების მატჩების პირდაპირი ლაივ ტრანსლაციების ხარჯების დაფარვა.

ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და მზადების პროცესის უზრუნველყოფა.

ეკიპირება.

საწვრთნელი შეკრებები.

საერთაშორისო ტურნირები და ამხანაგური მატჩები.

ნაკრების მთავარი მწვრთნელების და ასისტენტების, მენეჯერების, ექიმების, მასაჟისტების და სხვა პერსონალის ანაზღაურება.

ნაკრები გუნდის მგზავრობის, ცხოვრების, სამედიცინო მომსახურეობისა და სხვა ხარჯების ანაზღაურება.

2017 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი 19-წლამდე ვაჟთა გუნდებს შორის

2017 წლის ახალგაზრდული 19 წლამდე მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში მაღალ დონეზე ჩასატარებლად საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვა.

პრომო ვიდეო და ნაბეჭდი მასალების მომზადება

საერთაშორისო ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის ორგანიზება და მასპინძლობა, მისი შეხვედრების უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებთან.

მწვრთნელთა და მსაჯთა მომზადება, ხელბურთის აკადემია

ხელბურთის აკადემიის უმთავრესი მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, მწვრთნელების, მსაჯების სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლების და ლიცენზირების ეფექტური სისტემის შექმნა და ევროპის ხელბურთის ფედერაციის რინკის კონვენციასთან მიერთება.

ეროვნული ნაკრებების უზრუნველყოფა მაღალი კლასის სპორტსმენებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენისა და სათანადო სწავლების გზით.

ხელბურთის აკადემიის მწვრთნელების, მოწვეული ლექტორების, მენეჯერების და სხვა პერსონალის საკონტრაქტო ანაზღაურება.

სასწავლო ვიდეო და ბეჭდვითი პროდუქციის შექმნის ხარჯების გაწევა.

ქართული ხელბურთის ამსახველი ვიდეო მასალების დაარქივება.

ადგილობრივ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან ერთობლივი პროგრამები

საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციასთან, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთობლივად სასწავლო პროგრამების განხორციელება.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიზნით პროექტების განსახორციელებლად.

მოწვეული ლექტორების, მენეჯერების და სხვა პერსონალის ანაზღაურება.

ხელბურთის მედია-მხარდაჭერის პროგრამა

შიდა ჩემპიონატის თამაშების გაშუქება სატელევიზიო და ინტერნეტ ეთერებით (პირდაპირი გადმოცემა, ვიდეორეპორტაჟები, ვიდეომიმოხილვების დამზადება)

მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატების, ევროპის ჩემპიონთა ლიგის თამაშების სატელევიზიო და ინტერნეტ ეთერებით გაშუქება.

ძირითად სპორტულ არენებზე ინტერნეტით უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტა.

სპორტული პრესის წარმომადგენლების მივლინება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების, ევროპის ჩემპიონთა ლიგის თამაშების გასაშუქებლად.
ეროვნული ნაკრების ვიდეოანალიზის პროგრამის ლიცენზიის შეძენა
ახალგაზრდული ნაკრებების მომსახურების მიზნით ვიდეოანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა და მომსახურება.

ხელბურთის ინფრასტრუქტურა

ხელბურთის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის შეძენის, განბაჟებისა და მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამის განხორციელების მენეჯმენტი

ფედერაციის პროგრამების ხელმძღვანელებისა და სხვა პერსონალის ანაზღაურება.

ვეტერან ხელბურთელთა მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებებზე.

გამოჩენილი ხელბურთელების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირების და სხვა ღონისძიებების გამართვა.

ხელბურთის პოპულარიზაციის მიზნით ფედერაციის ვებ-გვერდებისა და პირდაპირი ტრანსლიაციების ტექნიკური აღჭურვა და მომსახურების უზრუნველყოფა.

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საქმიანობის ხელშეწყობა, ამ მხრივ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და გამოცემა.

წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებულის სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

შედეგები:

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები;

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე

გაუმჯობესებული პოზიციები;

პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

ეროვნული ნაკრების წარმატებით გამოსვლა 2018 წლის ევროპისა და 2017 წლის მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე.

ასაკობრივი ნაკრები გუნდების წარმატებით ასპარეზობა საერთაშორისო სარბიელზე, ეროვნული ნაკრებისათვის ღირსეული რეზერვის მზადების კუთხით.

საერთაშორისო ტურნირებზე მიღწეული პოზიციების გამყარება და გაუმჯობესება.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლება და საკლუბო სისტემის შექმნა.

ასაკობრივი ჩემპიონატების დონის ამაღლება.

საწვრთნელი და სათამაშო პროცესების ხარისხის და პირობების გაუმჯობესება.

მოთამაშეთა, მწრთვანთა, მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ხელბურთის პოპულარობის ზრდა რაც, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის, მათი ფიზიკურად და სულიერად ძლიერ ადამიანებად აზღვრისათვის.

ინდიკატორები:

- კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულების მაჩვენებელი;
- საერთაშორისო ასპარეზობებზე მოპოვებული შედეგები;
- პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების ჩართულობის მაჩვენებელი;